ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №12

21 ივნისი 2022 წელი

12:00 საათი

ა/წ 21 ივნისს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე (კომისიის თავმჯდომარე);
2. ლევან აბაშიძე;
3. ანა კაკაბაძე;
4. ირაკლი ხელაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ვახტან სურგულაძე;
7. მამუკა გუგეშაშვილი.

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა მომხსენებელს გელა ჩივიაშვილს.

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-15 დადგენილებაში, კერძოდ აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტში და მე-4 მუხლს ემატება 41 პუნქტი.

მოქმედი რედაქციის მიხედვით სიმსივნური კვანძის უნდა ყოფილიყო 2 სანტიმეტრზე მეტი იმისათვის რომ დაფინანსებულიყო მოსარგებლე შესაბამისი მედიკამენტით, ხოლო წარმოდგენილი პროექტით, სიმსივნური კვანძი ≥2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში მოსარგებლეს დაუფინანსდება პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო, ანუ 2 ტოლობის ნიშნიდან გამომდინარე 2 სანტიმეტრისაც რომ იყოს სიმსივნური კვანძი დაფინანსდება შესაბამისი მედიკამენტით.

მოქმედი რედაქციის მიხედვით მედიკამენტი „ფესგო“ მოსარგებლეებს უფინანსდებათ მაქსიმუმ 12 ინფუზიის (საწყისი დოზა (1200მგ+600მგ+30000ერთეული)/15მლ, ყოველი მომდევნო (600მგ+600მგ+20000ერთეული)/10მლ მოცულობით, წარმოდგენილი პროექტით ყოველ მომდევნო დოზას ეწოდა ხელშემწყობი დოზა.

მოქმედი რედაქციით, წესს ემატება ახალი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ტრასტუზუმაბი/პერტუზუმაბის ინფუზიის ან ფესგოს ინექციის შემთხვევაში - რეჟიმის უწყვეტობის დარღვევის დროს (მხოლოდ ოპერაციული ჩარევის შემთხვევაში) თუ ინფუზიებს ან ინექციებს შორის ინტერვალი ≥6 კვირისა, მკურნალობა აღდგება საწყისი დოზით და გაგრძელდება ხელშემწყობი დოზით.

კომისიის თავმჯდომარემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ინიციატივა და აღნიშნა რომ, მოსარგებლეების ადრეულ სტადიაზე შეძლებენ პროგრამაში ჩართვას.

კომისიის წევრმა ვახტანგ სურგულაძემ იკითხა, როდიდან დაიწყება 2023 წლის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა. მომხსენებელმა გელა ჩივიაშვილმა განმარტა, რომ ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა დაიწყება აგვისტოს თვეში, ხოლო საკრებულოს სამუშაოდ და რეკომენდაციების გასაცემად გადმოეგზავნება ნოემბრის თვეში.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს კომისიის წევრების უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე